

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 ტ 8494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის
№12 სხდომის დასკვნა

2011 წლის 1 დეკემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის განხილვის შესახებ“;
- 2) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის შესახებ“;
- 3) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის განხილვის შესახებ“;
- 4) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის სოციალური პროგრამების განხილვის შესახებ“;
- 5) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების განხილვის შესახებ“;
- 6) სხვადასხვა

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისას ითქვა, რომ ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილია საბიუჯეტო კოდექსისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად. ამასთანავე შემოსავლების მობილიზება და ბიუჯეტის შესრულება საფინანსო

სამსახურის გათვლებით არ შეიცავს რისკ-ფაქტორებს, შესაბამისად მოხდა თანხების გადანაწილება იმ საბიუჯეტო ვალდებულებებისა და მუნიციპალური პროგრამების დაფინანსებაზე, რომელსაც საკუთარ თავზე იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის პროექტით შემოსულობების ნაწილი 5241,6 ათასი ლარით განისაზღვრა, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოსაცემი გათანაბრებითი ტრანსფერი 4341,6 ათასი ლარი, ბიუჯეტის შემოსულობების 82,8 %. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 200,0 ათასი ლარი, ბიუჯეტის 3,8%. პროექტით გათვალისწინებულია გადასახადის სახით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მობილიზებული იქნეს 350,0 ათასი ლარი ბიუჯეტის შემოსულობების 6,7 %-ი, მათ შორის 185,0 ათასი ლარი საწარმოთა ქონების გადასახადი, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი 10,0 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადი 30,0 ათასი ლარი. არასასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადი 125,0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლების სახით მობილიზებული იქნება 350,0 ათასი ლარი. ბიუჯეტის 6,7%, მათ შორის საბიუჯეტო ანგარიშზე რიცხული ნაშთის სარგებელი 50,0 ათასი ლარი.

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 35,0 ათასი ლარი, მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის 5,0 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 70,0 ათასი ლარი, ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 15,0 ათასი ლარი, შემოსავლები ჯარიმებიდან სანქციებიდან და საურავებიდან 175,0 ათასი ლარი,

2012 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 5241,6 ათასი ლარის ხარჯების გაწევა, მათ შორის: შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 1169,5 ათასი ლარი, ბიუჯეტით გასაწევი ხარჯის 22,3%. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 140,2 ათას ლარს შეადგენს, ხარჯების 0,3%. მივლინების ხარჯი 21,3 ათას ლარს შეადგენს, ხარჯების 0,4%; ოფისის ხარჯებზე მიმართულია 355,8 ათასი ლარი, ხარჯების 6,8%, წარმომადგენლობითი ხარჯი 12,0 ათას ლარს შეადგენს, ხარჯების 0,2%, რბილი ინვენტარისა და ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები 9,0 ათასი ლარი, ხარჯების 0,2%, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის ხარჯებზე გათვალისწინებულია 189,9 ათასი ლარი, ხარჯების 3,3%. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის ხარჯებში მიმართულია 622,9 ათასი ლარი, ხარჯების 11,9%, სუფსიდიებით დასაფინანსებელი საბიუჯეტო დაწესებულებების შენახვისათვის მიმართულია 2221,5 ათასი ლარი ხარჯის 42,4%, სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებების დაფინანსებაზე მიმართულია 466,9 ათასი ლარი ხარჯების 8,9%. სხვა ხარჯების მუხლით (სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომელთა დაზღვევის) 7,9 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გათვალისწინებულია 24,5 ათასი ლარი ხარჯების 0,5%.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პროექტით გათვალისწინებულია სარეზერვო ფონდი 43,5 ათასი ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაფინანსებაზე მიმართულია 368,5 ათასი ლარი, ხარჯების 7,0%-ი. მუნიციპალიტეტის გამგეობის (სამსახურების ჩათვლით) ფუნქციონირებისათვის მიმართულია 1118,3 ათასი ლარი ხარჯების 21,3%. მუნიციპალიტეტის სახანძრო დაცვის სამსახურის შენახვაზე მიმართულია 240,7 ათასი ლარი ხარჯების 4,6%. შ.ს.ს. ადგილობრივი ორგანოების დაფინანსება 62,0 ათას ლარს შეადგენს ხარჯების 1,2%. თავდაცვის ღონისძიებებზე მიმართულია 128,6 ათასი ლარი ხარჯების 2,4%

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ღონისძიებებზე გამოიყო 666,6 ათასი ლარი ხარჯების 12,7%, მათ შორის ქალაქის ტერიტორიაზე მუნიციპალური შენობა-ნაგებობების წყლის გადასახადი 5,0 ათასი ლარი, გარე განათების მოვლა-პატრონობის ღონისძიებების დაფინანსება 61,0 ათასი ლარი, დასუფთავების ღონისძიებებზე მიმართულია 293,6 ათასი ლარი, სანაგვე მეურნეობის მოწესრიგებისათვის მიმართულია 15,0 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაცვა მაწანწალა ძაღლებისაგან 7,0 ათასი ლარი, გარე განათების გახარჯული ელექტროენერჯის ხარჯი 95,0 ათასი ლარი, ამხანაგობების თანადაფინანსების პროგრამა 15,0 ათასი ლარი, ა(ა)იპ „აგრო ბიზნეს ცენტრი-ლანჩხუთის“ დაფინანსება 75,0 ათასი ლარი, ა(ა)იპ „ლანჩხუთი-კეთილმოწყობა“ 100,0 ათასი ლარი. ა(ა)იპ სკოლამდელ საგანამანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის დაფინანსება შეადგენს 622,0 ათასი ლარი ხარჯების 11,9%. სპორტული და კულტურული ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოიყო 1445,6 ათასი ლარი ხარჯების 27,6%, მათ შორის სოც-კულტურულ ღონისძიებებზე 55,0 ათასი ლარი, ა(ა)იპ „ლანჩხუთის სპორტული ცენტრის“ დაფინანსება 225,0 ათასი ლარი, ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი გურია“ 300,0 ათასი ლარი, ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო სკოლა“ 70,0 ათასი ლარი, რელიგიის მხარდაჭერისათვის გამოიყო 20,0 ათასი ლარი.

სახელოვნებო სკოლების დასაფინანსებლად მიიმართა 198,5 ათასი ლარი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ცენტრალური ბიბლიოთეკის“ დაფინანსებისათვის გამოიყო 124,9 ათასი ლარი. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრის“ დაფინანსებისათვის მიიმართა 273,0 ათასი ლარი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ცენტრის“ დასაფინანსებლად გამოიყო 129,0 ათასი ლარი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ტურიზმის განვითარების ცენტრის“ დაფინანსებაზე მიიმართა 45,0 ათასი ლარი, გურიის მხარის ოლიმპიური დაფინანსება 5,0 ათასი ლარი. სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დასაფინანსებლად მიიმართა 515,2 ათასი ლარი ხარჯების 9,8%, მათ შორის ა(ა)იპ ლანჩხუთის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ დაფინანსება 115,0 ათასი ლარი, მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე გამოიყო 390,9 ათასი ლარი, ხარჯების 7,5%.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის, ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა კომისიების 2011 წლის 29 ნოემბრის ერთობლივ სხდომაზე მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას დაისვა რიგი საკითხები:

1. მუნიციპალიტეტის ბალახის ჰოკეისტთა გუნდის ტრანსპორტირების ხარჯი 1500 ლარი ამოღებულ იქნას სოც.კულტურული ღონისძიებების ხარჯიდან და დაემატოს ააიპ სპორტულ ცენტრს ვინაიდან ყველა სპორტულ ღონისძიებას ახორციელებს სპორტული ცენტრი.
2. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ მოსწავლეთა ექსკურსიებზე ტრანსპორტირების ხარჯების დაფინანსების წესში შევიდეს ცვლილება და სოც.კულტურული ღონისძიებების ხარჯიდან განხორციელდეს საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასების ექსკურსიების თანადაფინანსება სუფსიდირების გზით.

3. მაწანწალა ძაღლებისაგან ტერიტორიის გაწმენდის ხარჯები 7000 ლარი გაერთიანდეს დასუფთავების ღონისძიებების ხარჯებში და შევიდეს სატენდერო წინადადებაში.
4. საფინანსო სამსახურში დამატებით შეიქმნას აუდიტის განყოფილება, რადგან საფინანსო სამსახური არსებული საშტატო რიცხოვნებით ვერ ახორციელებს სრულფასოვნად მხარჯავი სუბიექტების ფინანსურ და ქონებრივ კონტროლს.
5. კომისიის წევრებმა აუცილებლობად მიიჩნიეს „ამერიკული თეთრი პეპელას“ გავრცელების შეზღუდვის ღონისძიებების ხარჯები შეტანილ იქნას ბიუჯეტის პროექტში.
6. ვინაიდან დიდი ხანია მუნიციპალიტეტში არ ჩატარებულა ქონების აუდიტი, აუცილებლობად იქნა მიჩნეული 2012 წელში ქონების აუდიტორიული შემოწმებისათვის ხარჯების გათვალისწინება.
7. სასურველია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ააიპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრში დასაქმებულ პედაგოგთა დაზღვევისათვის საჭირო ხარჯების გათვალისწინება ბიუჯეტში, თითოეულ პედაგოგზე დაახლოებით 18 ლარის მოცულობით.
8. ცუდ მდგომარეობაშია ვ.წულაძის სახელობის მუზეუმის შენობა. წვიმისაგან ზიანდება შენობის უკანა კედელი, რაც საჭიროებს სასწრაფოდ სარემონტო სამუშაოებს. აუცილებელია ა(ა)იპ კულტურის ცენტრს გადაეცეს შესაბამისი სამუშაოების ჩასატარებლად სუბსიდია პროექტის ფარგლებში 3500 ლარის მოცულობით.
9. დეკუტატებმა მიიჩნიეს აუცილებლად საჯარო მოხელის მიერ, რანგით მაღალი მოხელის მოვალეობის შესრულებისათვის ხელფასის სხვაობის ანაზღაურების გათვალისწინება ბიუჯეტში.
10. საჭიროს ჩაითვალოს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ცენტრის დაფინანსების გაზრდის გათვალისწინება, დირექტორის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე.
11. დასმული იქნა საკითხი იურიდიული სამსახურის უფროსისათვის ერთი ერთეული კომპიუტერის კომპლექტის და საკრებულოსათვის 3 (სამი) მობილური ტელეფონის შეძენის ხარჯის ბიუჯეტში გათვალისწინებაზე.
12. ღრმადელის ტერიტორიული ერთეულის მაჟორიტარი დეკუტატის და რწმუნებულის განცხადებით მატებას განიცდის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა კონდიგენტი, მათ სურვილი აქვთ იარონ სკოლამდელ სააღმზრდელო ჯგუფში. აქედან გამომდინარე საჭიროება მოითხოვს ჯგუფის დამატებას. აუცილებელია დაფინანსებისათვის ბიუჯეტში დამატებით თანხების გათვალისწინება.
13. ბავშვთა საფეხბურთო სკოლას პროექტით გამოყოფილი დაფინანსების პირობებში არ ეძლევა შესაძლებლობა მონაწილეობა მიაღებინოს აღსაზრდელებს ქვეყნის მშტაბით განხორციელებულ ტურნირებში, რაც სკოლისათვის აუცილებლობას წარმოადგენს. საჭიროდ იქნა მიჩნეული შესაძლებლობის პირობებში სკოლის ბიუჯეტის გაზრდა.

ზემოთ დასმული საკითხები ბიუჯეტის პროექტთან მიმართებაში, განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრებმა. საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ: ა) შენიშვნების 1; 2 და 3 პუნქტები აუცილებლად გასათვალისწინებელია. ცვლილება არ ითვალისწინებს ხარჯების ზრდას. კომისია მხარს უჭერს ფუნქციონალურ ცვლილებებს. ბ) მე-4 პუნქტთან დაკავშირებით, საფინანსო სამსახურში დამატებით აუდიტის განყოფილების შექმნა კომისიას აუცილებლად მიაჩნია და თვლის, რომ იგი უნდა განხორციელდეს ბიუჯეტის პროექტში ხელფასის ფონდში არსებული ასიგნებების ხარჯზე და წლის განმავლობაში, საჭიროებიდან გამომდინარე მოხდეს მისი შევსება. გ) მე-5 პუნქტი, “ამერიკული თეთრი პეპელას“ გავრცელების შეზღუდვის ღონისძიებების დაფინანსებასთან დაკავშირებით კომისიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ პრობლემა განხილულ იქნას მომავალი წლის გაზაფხულზე, ბიუჯეტის შემოსავლების მაჩვენებლების ზრდის პირობებში. თუმცა პრობლემა მიიჩნევა მნიშვნელოვნად. დ) მე-6 და მე-7 პუნქტებთან დაკავშირებით კომისიას აუცილებლად მიაჩნია ქონების აუდიტის ჩატარება და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგთა დაზღვევა და ამ მიზნით თანხების მობილიზება შემოსავლების ზრდის პირობებში. ე) მე-8 პუნქტთან დაკავშირებით, რადგან პრობლემა გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს კომისიას მიაჩნია, რომ უნდა გამოიძებნოს სახსრები და ვ. წულაძის სახელობის მუზეუმს ჩაუტარდეს სარემონტო სამუშაოები მომავალი წლის იანვარშივე. ვ) მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-13 პუნქტებში დასმულ საკითხებზე კომისიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ საკითხები აუცილებლად გასათვალისწინებელია და გათვალისწინებული იქნას მომავალი წლის ბიუჯეტში შემოსავლების ზრდის და გარდამავალი ნაშთის გადანაწილების პირობებში 2012 წლის 1 აპრილამდე.

დასმულ საკითხებზე იმსჯელა და პოზიცია წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურმა.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის სხდომაზე ბიუჯეტთან დაკავშირებით დამატებით დასმული და განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1) განხილულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოს დაფინანსებისათვის ბიუჯეტის პროექტში განსაზღვრული თანხის გაზრდა 8000 ლარით. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ 8000 ლარით შემცირდეს სარეზერვო ფონდი და გაიზარდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოს დაფინანსება. 2) განხილულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სიმბოლიკის (გერბის და დროშის) შესარჩევ კონკურსში გამარჯვებულისათვის გადასაცემი ჯილდოს თანხის 2012 წლის ბიუჯეტში გათვალისწინება 2500 ლარის მოცულობით და ამ მიზნით სარეზერვო ფონდის შემცირება. 3) კომისიაზე დასმული იქნა საკითხი, რომ ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მეზრძოლებისათვის დახმარების არსებულ პროგრამას დაემატოს ერთჯერადად, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით 200 ლარის მოცულობით ფინანსური დახმარება, რაც პროგრამის ფარგლებში 7000 ლარს შეადგენს. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული თანხით შემცირდეს ეკონომიურად შეჭირვებულ ოჯახებზე სათბობი შეშით დახმარების პროგრამა და იგი, მონიტორინგის შემდგომ დაზუსტდეს მომავალი წლის ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის პირობებში.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება: ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით

გადაეცეს საკრებულოს ბიუროს განსახილველად. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში. კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ყველა შენიშვნაზე და პოზიციაზე შესაბამისი სამსახურების მიერ წარმოდგენილი იქნას განმარტება.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის პრიორიტეტის დოკუმენტის განხილვის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისას კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის წევრებმა განკარგულების პროექტი მიიჩნიეს მომზადებულად საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისას აღინიშნა, რომ 2012 წლის მუნიციპალური შესყიდვების გეგმის პროექტი შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების, „სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ და „შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებების შესაბამისად.

შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნება დადგენილი იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული კლასიფიკატორით. მონეტარული ზღვრების გათვალისწინებით გამარტივებული შესყიდვის ფორმით შესყიდული იქნება ერთგვაროვანი 42 ობიექტი, ხოლო გამარტივებული ტენდერით შესყიდული იქნება 21 ერთგვაროვანი ობიექტი. ელექტრონული ტენდერი ჩატარდება ერთი ობიექტის შესყიდვის მიზნით.

კომისიის წევრებმა განკარგულების პროექტი მიიჩნიეს მომზადებულად საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის სოციალური პროგრამების განხილვის შესახებ“ საკითხის განხილვისას კომისიის წევრების მიერ კვლავ დასმული იქნა საკითხი, ტერიტორიული მთლიანობისათვის დალუპული მეზრძოლებისათვის დახმარების არსებულ პროგრამაში ცვლილების საჭიროებაზე. ცვლილების პირობებში პროგრამას უნდა დაემატოს ერთჯერადად, გიორგობის პრეზიდენტულ დღესასწაულთან დაკავშირებით 200 ლარის მოცულობით ფინანსური დახმარება, რაც პროგრამის ფარგლებში 7000 ლარს შეადგენს. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული თანხით შემცირდეს დევნილთა და შეჭირვებული ოჯახებისათვის შემოთხმარების პროგრამა და იგი, მონიტორინგის შემდგომ დაზუსტდეს მომავალი წლის ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის პირობებში.

სხვა შენიშვნები სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით არ გამოთქმულა.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიამ სოციალურ სამსახურს თხოვა დაამუშაოს კიდევ ერთი პროგრამა, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტის საკრებულოსა

და გამგეობის მოსამსახურეთა დეკრეტულ შვებულებაში გასვლისას, მათთვის სადეკრეტო თანხასა და ხელფასს შორის სხვაობის ანაზღაურებას, კომისიას მიზანშეწონილად მიჩნია სხვაობის დაფინანსება განხორციელდეს საბიუჯეტო ზრდის პირობებში.

სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება პროგრამები წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების განხილვის შესახებ“ საკითხის განხილვისას გამოითქვა, მოსაზრება რომ ბალახის ჰოკეისტთა ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ხარჯები (1500 ლარი) ამოღებულ იქნას სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამებიდან და დაემატოს ა.ა.ი.პ. სპორტულ ცენტრს სუფსიდიის სახით, ასევე მიზანშეწონილია მოსწავლეთა ექსკურსიებზე ტრანსპორტირების ხარჯების დაფინანსება სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ფარგლებში განხორციელდეს საჯარო სკოლების სუფსიდირების მეშვეობით.

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიაზე განსახილველად შემოვიდა ა.ა.ი.პ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ცენტრისა და ა.ა.ი.პ. ტურიზმის განვითარების ცენტრის პროექტების „თემო“, „წერტილი რუკაზე“, „შემეცნებითი თამაშები“, „ტურისტული სასწავლო ლაშქრობა-შეჯიბრება“, „მდინარე სუფსაზე საწყლოსნო ტურიზმის განვითარების“ დაფინანსების საკითხები. პროექტებს არ ახლავს სრულყოფილად გათვლილი და მომზადებული ბიუჯეტები. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია შესაბამისმა სამსახურებმა სრულყოფილი პროექტები და 2012 წლის ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის პირობებში განხილულ იქნას მათი დაფინანსების საკითხი.

ამ შენიშვნების გათვალისწინებით კომისიის წევრებმა პროექტი მიიჩნიეს მომზადებულად საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე:

პაატა ფირცხალაიშვილი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

2800 ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. №37

T 8 210 22 30 10
FAX: 8 210 22 30 13

№ 1501

„1“ „12“ 2011 წ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ რევაზ ჩიტძეს

ბატონო რევაზ,

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის, ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა კომისიების 2011 წლის 29 ნოემბრის ერთობლივ სხდომაზე მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას დაისვა რიგი საკითხები:

1. მუნიციპალიტეტის ბალახის ჰოკეისტთა გუნდის ტრანსპორტირების ხარჯი 1400 ლარი ამოღებულ იქნას სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ხარჯიდან და დაემატოს ააიპ სპორტულ ცენტრს
2. მოსწავლეთა ექსკურსიებზე ტრანსპორტირების ხარჯების დაფინანსება სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ხარჯიდან განხორციელდეს საჯარო სკოლების მეშვეობით
3. მაწანწალა ძაღლებისაგან ტერიტორიის დაცვის ხარჯები 7000 ლარი გაერთიანდეს დასუფთავების ღონისძიებების ხარჯებში
4. საფინანსო სამსახურში დამატებით შეიქმნას განყოფილება საბიუჯეტო დაწესებულებებში აუდიტორიული შემოწმების ფუნქციით
5. „ამერიკული თეთრი პეპელას“ გავრცელების შეზღუდვის ღონისძიებების ხარჯები შეტანილ იქნას ბიუჯეტის პროექტის ხარჯებში
6. 2012 წელში ქონების აუდიტორიული შემოწმებისათვის ხარჯები იქნას გათვალისწინებული ბიუჯეტში
7. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ააიპ-ებში დასაქმებულ პედაგოგთა დაზღვევის ხარჯების გათვალისწინება ბიუჯეტში
8. ვ.წულაძის სახელობის მუხეუმის სარემონტო სამუშაოების გათვალისწინება ბიუჯეტში 3000 ლარის ოდენობით
9. საჯარო მოხელის მიერ, რანგით მაღალი მოხელის მოვალეობის შესრულებისათვის ხელფასის სხვაობის ანაზღაურების გათვალისწინება ბიუჯეტში
10. ააიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ცენტრის დაფინანსების 5200 ლარით გაზრდის გათვალისწინება
11. კომპიუტერის კომპლექტის და 3 მობილური ტელეფონის შეძენის ხარჯის ბიუჯეტში გათვალისწინება

01 12 11 11
შპს

12. სოფელ ღრმადელის სკოლამდელი სააღმზრდელო ჯგუფის დაფინანსებისათვის 11000 ლარის ბიუჯეტში დამატებით გათვალისწინება
13. ბავშვთა საფეხბურთო სკოლის დაფინანსების 25000 ლარით გაზრდის გათვალისწინება

დასმულ საკითხებზე იმსჯელა მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელმძღვანელობამ და სპეციალისტებმა და მიზანშეწონილად ჩაითვალა ბიუჯეტის პროექტში განხორციელდეს ხარჯების შიგა გადანაცვლება კერძოდ: მუნიციპალიტეტის ბალახის ჰოკეისტთა გუნდის ტრანსპორტირების ხარჯი 1400 ლარი ამოღებულ იქნას სოც.კულტურული ღონისძიებების ხარჯიდან და დაემატოს ააიპ სპორტულ ცენტრს, მოსწავლეთა ექსკურსიებზე ტრანსპორტირების ხარჯების დაფინანსების წესი შემუშავებული იქნას წლის დარჩენილ პერიოდში, მაწანწალა ძაღლებისაგან ტერიტორიის დაცვის ხარჯები 7000 ლარი გაერთიანდეს დასუფთავების ღონისძიებების ხარჯებში, საფინანსო სამსახურში დამატებით შეიქმნას განყოფილება საბიუჯეტო დაწესებულებებში აუდიტორიული შემოწმების ფუნქციით, დაფინანსება განხორციელდეს ბიუჯეტის საერთო ასიგნების ფარგლებში.

რაც შეეხება, დანარჩენ დასმულ საკითხებს, რომლის გათვალისწინება იწვევს მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულ შემოსავლების ზრდას, რისი არგუმენტირებული საფუძველი ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის გამგეობას არ გააჩნია, მიზანშეწონილად მიაჩნია საკითხების დამატებით შესწავლის შედეგების გათვალისწინებით ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების პროექტი წარდგენილი იქნეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე განსახილველად 2012 წლის 1 მარტამდე.

ღანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

გიორგი გოგუაია

საფინანსო სამსახურის უფროსი

როლანდ ლაშია